საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №292/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №-- და 2018 წლის 04 დეკემბრის №-- საჩივრების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^9 მუხლის შესაბამისად, დისციპლინური საქმე №-- და დისციპლინური საქმე №-- მოსამართლე -- -- მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №292/18.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 თებერვლის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პინციპის დარღვევით განიხილავს საქმეს. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილ ბრალდებულებს არ ეძლევათ მოწმეებთა დაკითხვის შესაძლებლობა.

1.2. ამასთან, პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე არ უზრუნველყოფს ბრალდებულების პატივისა და ღირსების დაცვას. -- -- განცხადებით, 2018 წლის 08 ნოემბერს გამართულ სასამართლო პროცესზე, -- -- დაკითხვისას, მოწმემ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო მოსამართლემ არ მიიღო არანაირი ზომები მოწმეთა ქცევის აღსაკვეთად. საჩივრის ავტორის განმარტებით, ანალოგიური შემთხვევა განმეორდა 2018 წლის 29 ნოემბრის სასამართლო პროცესზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 05 მარტს სისხლის სამართლის საქმე -- -- წინააღმდეგ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- -- (საჩივრის შესწავლის მომენტისთვის საქმეზე ჩატარებული იყო 20-ზე მეტი სასამართლო სხდომა და მიმდინარეობდა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა).

2018 წლის 08 ნოემბერის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა -- -- დაკითხვის მიმდინარეობის პროცესში, მოწმე საუბრობდა ემოციურად და ხშირად ეხებოდა ისეთ ფაქტებს, რომელიც არ იყო დაკავშირებული საქმის გარემოებებთან. მოსამართლემ არაერთხელ მოუწოდა -- --, რომ დამორჩილებოდა სასამართლოს მითითებებს და დასმულ შეკითხვევთან დაკავშირებით გაეცა კონკრეტული პასუხები. ამასთან, მოწმის მიერ ბრალდებულების და სასამართლოს მიმართ არაკორექტული ფორმით გაკეთებული განცხადედებთან დაკავშირებით მოსამართლე აძლევდა სიტყვიერ შენიშვნას და მოუწოდებდა სასამართლოს პატივიცსემისკენ.

2018 წლის 29 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ -- -- და -- --. დაკითხვის მიმდინარეობის 16:08:03 წუთზე, როდესაც მოწმის დაკითხვას აწარმოებდა ბრალდებული -- -- მოწმე -- -- და ბრალდებულს შორის მოხდა სიტყვიერი შეკამათება. კერძოდ, -- -- ახსენა შემდეგი სიტყვები: „რა გინდათ ჩემგან, რით ვერ მოგიშორეთ“ რაზეც მოსამართლემ მოწმეს მოუწოდა, რომ იგი იმყოფებოდა სასამართლო დარბაზში და კორექტურად ესაუბრა. მოსამართლის გაფრთხილების შემდეგ, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა თავისუფალ რეჟიმში ეწარმოებინა მოწმის ჯვარედინი დაკითხვა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 26 ნოემბრის #-- და 2018 წლის 04 დეკემბრის #-- საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად იყო დაცული მოსამართლისგან მართლმსაჯულების განხორციელების ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი: 1) თანასწორობის პრინციპი; 2) კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპი.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც არღვევს თანასწორობის პრინციპს, თუმცა კანონმდებელი იქვე განმარტავს თუ რომელი ქმედება მოიზარება თანასწორობის პრინციპის დარღვევად, დისციპლინური სამართლაწარმოების მიზნებისთვის:

ე.ა) სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით;

ე.ბ) სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. განსხვავებული მოპყრობის მიზეზებზე საუბრისას შეიძლება გამოვყოთ დისკრიმინაცია რასის, ეთნიკური წარმოშობის, კანის, ფერის, სქესის, რელიგიის, სქესობრივი ორიენტაციისა და სხვა ნიშნების საფუძველზე, თუმცა ასევე აუცილებელია იმის მხედველობაში მიღებაც, რომ ყველა სახის გამორჩეული დამოკიდებულება არ არის დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, მხოლოდ გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმზე დამყარებული გამორჩეული მოპყრობა შეიძლება იყოს გამართლებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დისკრიმინაციის საერთო ნიშნებიდან, ზოგადად გამოიყოფა სამი ძირითადი ელემენტი: 1) ქმედებები, რომლებიც დისკრიმინაციად ითვლება: გამორჩევა, შეზღვუდვა და უპირატესობის მინიჭება; 2) დისკრიმინაციის მიზეზები, ისეთი პერსონალური მახასიათებლები როგორიცაა: რასა, კანის ფერი, სქესი, ასაკი და ა.შ; 3) დისკრიმინაციის მიზნები ანდა შედეგები: დისკრიმინაციის მსხვერპლთა მიერ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის აღკვეთა. ამასთან, ერთამანეთისგან უნდა განვასხვავოთ პირდაპირი დისკრიმინაცია, როდესაც პირი გარკვეული ადამიანის/ჯგუფის დისკრიმინაციას ისახავს მიზნად და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, როდესაც ერთი შეხედვით სრულიად ნეიტრალური ქმედება იწვევს ერთი ადამიანის/ჯგუფის გამორჩევას.[1]

განსახილველ შემთხევაში, სასამართლო სხდომის ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესი მიმდინარეობდა თანასწორობის პრინციპის დაცვით და მოსამართლის მხრიდან არ გამოიკვეთა რაიმე დისკრიმინაციული ქმედება.

ამდენად, საჩივრის ავტორის მითეთება, მოსამართლე -- -- მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თანასწორობის პრინციპის შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა და არ წარმოადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისგმებლობის საფუძველს.

4.2. რაც შეეხება მოსამართლის მხრიდან კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპის შესაძლო დარღვევის ფაქტს, უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის სახედ მიიჩნევა სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

ზემოაღნიშნული დისციპლინური გადაცდომის შეფასების კუთხით, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა

[1] იხ. ,,ადამიანის უფლებები“ ავტორი მ. ნარინდოშვილი, გვ. 62-63
https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e18390e18393e18390e1839be18398e18390e1839ce18398e183a1-e183a3e183a4e1839ae18394e18391e18394e18391e183981.pdf

პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.6. პუქნტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

წესრიგში მოიაზრება სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კორექტულობა, რაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაცული იყოს სასამართლო პროცედურის დადგენილი წესები. ეტიკეტში მოიაზრება ზრდილობიანობისა და თავაზიანობის, გულწრფელი ყურადღების ატმოსფერო, რაც საზოგადოების თვალში იმის ნიშანია, რომ სასამართლო საქმეს გულდასმით და სამართლიანად განიხილავს.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც უფლებამოსილია დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას; ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითების სავალდებულოობისა და სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

განსახილველ შემთხევაში დისციპლინური საჩივრის შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას პროცესის მონაწილეთა მხრიდან წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში, მოსამართლე -- -- მიიღო კანონით გათვალისწინებული ზომები. კერძოდ, მოსამართლემ პროცესის მონაწილეებს არაერთხელ მიმართა ზეპირი შენიშვნით და მოუწოდა სასამართლოს პატივისცემისკენ, რაც საკმარისი აღმოჩნდა სასამართლო პროცესების მშვიდ ვითარებაში წარსამართად.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- განხორცილებული ქმედებები არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

---

[2] იხ. ,,მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები“ პუნქტი 212, გვ. 194 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ და „ვ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2020 წლის 12 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე #-- მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი